ავტობიოგრაფია

მე, რატი ჩანტლაძე დავიბადე 1993 წლის 12 მაისს ქალაქ თბილისში.

1999 წელს სწავლა დავიწყე თბილისის №54 საჯარო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 2011 წელს. იმავე წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად, 2014-2015 წლებში გავიარე სავალდებულო სამხედრო სამსახური სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქალაქ თბილისის სამმართველოში. ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების შემდეგ, 2015 წელს სწავლა გავაგრძელე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სასწავლო პროგრამაზე, რომელიც წარჩინებით დავასრულე 2017 წელს. იმავე წელს ჩავირიცხე უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე.

2016 წელს მუშაობა დავიწყე იურიდიულ კომპანია შპს „ჯი ელ სი ჯი-ში“, თავდაპირველად - ადვოკატის თანაშემწედ, ხოლო 2016 წლის ბოლოდან, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და სსიპ ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების შემდეგ, მუშაობა გავაგრძელე ადვოკატის პოზიციაზე, 2019 წლის დასაწყისამდე.

2019 წლის მარტიდან დეკემბრამდე პერიოდში ვმუშაობდი შპს „AWARD Holding-ში“ იურისტად.

2019 წლის დეკემბერში დავინიშნე მოსამართლის თანაშემწედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

2021 წლის მარტში სამუშაოდ გადავედი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2022 წლის იანვრიდან მუშაობა გავაგრძელე იმავე პალატაში მოსამართლის თანაშემწე - მთავარი კონსულტანტის პოზიციაზე, სადაც ვმუშაობდი 2023 წლის ივლისამდე.

პარალელურად, 2018 წლის გაზაფხულის სემესტრიდან დღემდე, მოწვეული ლექტორის სტატუსით, დასაქმებული ვარ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კერძო სამართლის მიმართულებით.

ვარ რამდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორი.

2023 წლის მარტში ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, ხოლო იმავე წლის ივლისში იუსტიციის მსმენელად ჩავირიცხე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, რომელიც დავასრულე 2024 წლის ნოემბერში.

გავლილი მაქვს არაერთი პროფესიული ტრენინგი და სემინარი, მათ შორის, „ვორქშოპი“ მოსამართლის თანაშემწეთათვის: შემთხვევის გადაწყვეტის მეთოდი (საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა („IRZ“); საავტორო სამართალი („CopyrightX“) (ჰარვარდის სამართლის სკოლა, ბერკმან კლაინის ცენტრი); მედიაციის სასერტიფიკატო ტრენინგკურსი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია) და სხვ.

ვფლობ ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

რატი ჩანტლაძე

Rati Chantladze 01008057276

Digitally signed by Rati Chantladze
Date: 2024.11.13 15:35:15